



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251199

თარიღი:29/04/2025

**განკარგულება №42**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: გიორგი ნარიმანიძის, ნიკოლოზ წიკლაურისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდემელის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 2 აპრილის №30 და №32 წერილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: გიორგი ნარიმანიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, ნიკოლოზ წიკლაურის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - თორნიკე ხიდემელის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 470 (ოთხას სამოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენების კანონიერი წარმომადგენლებისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი ნარიმანიძე - 700 (შვიდასი) ლარი, პ/ნ 12350001971, თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ელგუჯა ნარიმანიძის (პ/ნ 12001024335) საბანკო ანგარიშზე: GE15BG0000000887034500;

ნიკოლოზ წიკლაური - 600 (ექვსასი) ლარი, პ/ნ 01951002372, თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ვახა წიკლაურის (პ/ნ 12001029443) საბანკო ანგარიშზე: GE38BG0000000875535900;

თორნიკე ხიდემელი - 470 (ოთხას სამოცდაათი) ლარი, პ/ნ 12001058273, GE61BG0000000252927600.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

## მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

